

მოსკოვი, 29 მარტი. (საკლასი). დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა. ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ახანაბამ **ლ. ი. ბრეჟნევმა**. დღეგაბაძის სახელით იგი მხურობდა მისალმა ყრილობაზე დასვრამ სხვა ქვეყნების მოსამე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს.

ხელმძღვანელი ორგანოების — პრეზიდიუმის, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიათა არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება
 2. სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება
 3. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივაში სსრ კავშირის სახალხო მუშაკების განვითარების 1966—1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.
 4. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.
- სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ახანაბამ **ლ. ი. ბრეჟნევმა**, რომელსაც დღეგაბაძე და სტუმრები ტაყით უხვდნენ.

ყრილობას მიუძღვნეს ახალგაზრდობის აქტიურობით

თბილისის ელმავალსაშენი ქარხნის ფიზკულტურელთა შრავალრიცხოვან ოჯახში 8 სპორტის ოსტატია. საწარმოში შექმნილია ფეხბურთის 18, ფრენბურთისა და კალათბურთის 30 გუნდი. აქ ჰყავთ ასობით მძლეოსანი, მოჭიდავე, ძალოსანი, გელოსიპედისტი, მოკრივე, მოკადარაკე, მოშაშე, მაგიდის ჩოგბურთელი...


ამ დღეებში ქარხნის სპორტულ ბაზებზე გრძელდება სკკპ XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი შიდასკოლექტივო სპარტაკიადი. საამქროთა გუნდები ერთმანეთს სპორტის 14 სახეობაში ეჯიბრებიან. უკვე დამთავრდა მოშაშეთა ტურნირი ქვეყნულ გუნდებში. ფინალში გავიდნენ ელექტრომანქანებისა და საიარალო საამქროების გუნდები.

წლეულს აქაური ფიზკულტურელები კარგ საჩუქარს მიიღებენ. ქარხნის ტერიტორიაზე დაიწყო სპორტული ქალაქის მშენებლობა. ახალსტადიონს ექნება 800 მაყურებლისთვის დასაჯდომი ადგილი, სარბენი ბილიეები, სატყორცნი სექტორები. სტადიონის გვერდით აიგება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, გასახლელები, საშხაპე. აქვე აშენდება საცურაო აუზი (25x12). სპორტული ქალაქი შემოისაზღვრება მწვანე ნარგავებით.

ახალ სპორტანგობათა მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები, რომლებსაც განზრახული აქვთ სტადიონი მაისში გახსნან.

ა. ვენაძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



1966 წ. № 62 (3039) 30 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 ჰაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-მ წელი

პირნათლად

„შრომასა და სპორტში“ ასე ეწოდა ესტაფეტის, რომელიც „განთიადის“ ფიზკულტურულმა კოლექტივებმა სკკპ XXIII ყრილობას მიუძღვნეს.

„ლელოს“ მკითხველებმა იციან ამ ესტაფეტის შესახებ. იგი 14 მარტს დაიწყო მანარაძეში, ეწვია ბათუმს, ფოთს, სოხუმს, ზუგდიდს, ტყვარჩელს, ტყიბულს, ქუთაისს, ჭიათურას, გორს და 26 მარტს თბილისში ჩამოვიდა.

„საყრილობო ვალდებულებები განაღებულა, ვიბრტყით ახალი წარმატებებისთვის!“ — ასეთი იყო მერაბის, მენაბეთების, აკრო და გემმშენებლების, მალაროელებისა და მქსოველების პატაკი ყრილობისადმი.

სადაც გი ესტაფეტის მონაწილეები გამოჩნდებოდნენ, ყველგან საზეიმო გითარება იქმნებოდა. ლაშქრობის ქალაქებში ეწყობოდა საზეიმო შეხვედ-

რები, იმართებოდა მასობრივი სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც თამაშდებოდა ესტაფეტის სახელობის პრიზები.

ქალაქიდან ქალაქში ესტაფეტა მიქონდათ მძლეოსნებს, ველოსიპედისტებს, მოტოციკლისტებს. ესტაფეტამ იმოგზაურა შეგულმფრენითაც და გემითაც. იგი მიქონდათ შრომასა და სპორტში გამარჯვებულ ადამიანებს. ყველა ქალაქი ცდილობდა ღირსეულად ეგარებინა ესტაფეტა. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიობა გამოიჩინა ჭიათურამ. ლენინის ორდენის მარგანტრესტის მალაროელებმა უფლება მოიპოვეს ლენინის სახელობის მალაროსთან ანიჭებულ ჩირადანი მოტოციკლისტთა კოლონიტ პირდაპირ თბილისში ჩატანათ. კოლონიის 15 საუკეთესო მალაროულ-სპორტსმენს შორის იყვნენ სპორტის ოსტატი შ. ხვედელიძე, პირველთაირიგოსნები ბ. ნეფარიძე, ტ. აბაშიძე, ბ. ტყაბლაძე და სხვ.

გორში ჩამოსულ ჭიათურელებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს ბამბეულის ქსოვილების კომბინატში. შემდეგ მალაროელებმა მქსოველებთან ერთად გეში თბილისისკენ აიღეს.

ფინიში. ამ დღეს ტყვა არ იყო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტულ ბაზებზე. ასობით თბილისელი მიესალმა ლაშქრობის დასკვნითი ეტაპის მონაწილეებს. ესტაფეტა დამთავრდა.


ესტაფეტის შედეგების შეჯამებით გამოირკვა, რომ ბოლო ორ თვეში „განთიადის“ წევრთა რიცხვი გაიზარდა 2450 კაცით, ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რაოდენობა — 3500-ით. საწარმოო ტანჯარში ჩაება 6.100 მუშა-მოსამსახურე, მონაზადდა 5 სპორტის ოსტატი, 1380 თანრიგისანი. მშთ I და II საფეხურის ნორმები ჩააბარა 1610 კაცმა, მწყობრში ჩადაგა ახალი და კეთილმოეწყობილი ბაზები.

ყოველივე ეს „განთიადის“ ფიზკულტურული კოლექტივების საყრილობო ვალდებულებათა პირნათლად განაღდება.

თ. ბაჩიალიაძე.
(ჩვენი სვეტ კორ.)

ს უ რ ა თ ზ ე : ქიათურიდან გამგზავრების წინ.

ფოტო ავტორისა.




„რა ხრმალნი ხელთბან გავარდის...“ ფოტო ა. სააკოვისა.

ბაქო, 29 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დაიწყო „ა“ კლასის მეორე ლიგის კალათბურთულ ვაქთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებას მიიღწია საქართველოს

წარმატება სტარტზე

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა. მან დაამარცხა მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ — 59:49 (21:29). დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „კანალსტროი“ (დონეცკი) 55:63, „პოლსტიკისი“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (მინსკი) 62:56, „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — ნავთობის ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) 57:51.



19 აპრილამდე ნახვამდის

მოსკოვისა და სარატოვის აუზებში დამთავრდა „ა“ კლასის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები. 12 გუნდიდან წაგების სიმწარე არ უგრძენიათ მხოლოდ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის სპორტსმენებს, თუმცა ჩვენი ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონები 8 ქულით 11 ადგილზე არიან, ვინაიდან მათი შეხვედრა წითელდროშოვანი კასპის ფლოტის წყალბურთელებთან არ შედგა (ბაქოელთა გუნდის წევრების ავადმყოფობის გამო).

ჩემპიონატს 9 ქულით ლიდერობს მოსკოვის „ტორპედო“. 7 ქულა აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს. შემდეგ ადგილებზე არიან: „დინამი“ (თბილისი) — 6 ქულა, ლევიისა და კიევის „დინამოს“ გუნდები, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — 5-5, „დინამო“ (მოსკოვი) — 4, „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) — 3, „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი). ბაქოს წყფ, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 2-2.

3 კვირის შეხვედრების შემდეგ შემოჩამოთვლილი გუნდები შეიკრიბებიან ბარკოვში, სადაც 19 აპრილს დაიწყება II ტური.

გ. ვერბენიკოვი
— 124 მეტრზე

ვლანისა, 29 მარტი. სამდღიანი ასპარეზობა მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ტრამპლინზე დამთავრდა ჩეხოსლოვაკიელი „მფრინავი მოთბილაშურის“ ი. რაშკას გამარჯვებით. ამავე დროს, მან დაამყარა ტრამპლინის რეკორდი — 130 მ. გორაკილი მ. პერეტინიკოვი 124 მეტრზე გადახტა. ასე შორს ჯერ არც ერთ სამჭობთა სპორტსმენს არ „უფრენია“. ვერეტინიკოვს წილად ხვდა საერთო 11 ადგილი. მსოფლიოს რეკორდსმენი, ნორვეგიელი ბ. ვირვოლა მხოლოდ VII იყო.

გ უ ვ ი ნ ...

თბილისში რესპუბლიკის მოკალაქე ვაქთა ჩემპიონატზე მოეწყო ვადიდებელი პარტიების დამთავრება. ალექსანდრიამ დაამარცხა მუქინაშვილი, ჩიქოვანმა — კერნოვიკი, ტუსლავემა — დავითაშვილი, ლომიაძე — გვენცაძე. 2 მარტი წააგო ჩავუნავაძე (უბილაევისა და რაზოუსკისთან). 10 ტურის შემდეგ 8-მ ქულით ლიდერობენ გურგენიძე, ჯინჯიბაშვილი და ბუსლავეი.

ანგარიშგება-არჩევნები

„ლოკომოტივის“ კვლავს რომ წარმატებით ევლოს


ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურული მემორე წელია ინარჩუნებენ „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს გარდაამავალ დრომას, რომელიც მოიპოვეს ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში მიღწეული მაღალი მანკვებულებისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზის მავსტრალის ფიზკულტურულ კოლექტივებში ყოველწლიურად იზრდება სასოგადოების წევრთა და სექციებში მომეცადინეთა რიცხვი, ხშირად და მაღალდონეზე იმართება ასპარეზობანი. ყოველივე ამან საბჭოს საშუალება მისცადილი ხნით აღრე, 1963 წელს გაენდლენინა ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების შეიღწლიანი გეგმა, ამას წინათ თბილისში გაიმართა საგზაო საბჭოს II კონფერენცია, რომელზეც შეიკრიბნენ სამი მოძმე რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რკინიგზელთა დელეგატები, სამშენებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციამ შეაჯამა ბოლო ორ წელიწადში გაწეული მუშაობა, ამხილა ნაკლოვანებანი და დასახა ახალი ამოცანები.

კონფერენციასე საანგარიშო მოსენებით გამოვიდა საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაჭახიძე, რის შემდეგ განიკრთა კამათი. მასში მონაწილეობდნენ რაისაბჭოს თავმჯდომარეები ტ. ავაკეი (აზერბაიჯანი), ა. აბაშიძე (სამტრედი), მ. ბაღდასაროვი (თბილისი), გ. დავითიანი (ერევანი), მწვრთნელები რ. მესხიშვილი და ა. დოლიძე, რკინიგზის ტექნიკუმის მასწავლებლები ა. ოგანჯანოვი (ბაქო), ი. ევნატაშვილი (თბილისი) და სხვ.

კონფერენციასე სიტყვით გამოვიდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების გამეე ი. მირონენო. ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურულგებს მან წარმატება მიულოცა და გადამსცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების პრიზები — სპეციალური მედლები, რომლებიც მიიღეს ბაქოს რკინიგზის ტექნიკუმმა და თბილისის სპორტკლუბმა „ელმავალი“.

მოეწყო საგზაო საბჭოსა და სარევიზო კომისიის წევრთა, აგრეთვე „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს IX კონფერენციისა და საქართველოს სპორტკავშირის III რესპუბლიკური კონფერენციის დელეგატთა არჩევნები. მთელენმა საგზაო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია თ. კაჭახიძე, ხლო მის მოადგილედ — ა. გიორგობიანი.



სურათზე: ზუგდიდის სპორტსკოლის ველოსიპედისტები მორიგი ვარჯიშის დროს. ფოტო მ. ზარგარიანი.

სათევზაოდ ხრამზე

„სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ მდინარე ხრამზე გამართა თბილისის პირველი თევზჭერაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა ჩვენი დედაქალაქის 15 ფიზკულტურული კოლექტივი ის 350-მდე წარმომადგენელი. შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მეტეფევემბა, რომლებმაც ყველაზე მეტი თევზი დაიჭირეს და დედაქალაქის ჩემპიონობა დაიხაკეთურეს. II ადგილზე გავიდა I-ლი სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო


კანტორის გუნდი, ხოლო III — ავტომეცვეთელი ქარხნის კოლექტივი. თევზჭერაში ასპარეზობის შედეგების შეჯამების შემდეგ იქვე გამართა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში, ფეხბურთში და სპორტის სხვა სახეობებში. მონაწილეთა ძალებით მოეწყო საინტერესო კონცერტი. ბუნების წიაღში შინაარსიანად გატარებული დღის შემდეგ ასპარეზობის მონაწილენი კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ. ლ. ზრიზორიანი.

სპარტაკილის პროგრამით

ლაგდეზის რაიონის სოფლის სპორტსმენთა სპარტაკილის პროგრამით ამას წინათ მოეწყო მოჭადრაკეთა პირად-გუნდური ასპარეზობა. გუნდურ ჩათვლაში პირველობა დაიხაკეთურა სოფელ შრომის „ლეონის ანდრეის“ სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა. პირად ჩათვლაში I-II ადგილები გაიყვეს ი. კალანდაძემ (სოფ. ვარდისმანი) და ა. ჩუთლაშვილმა (სოფ. შრომა). 3. ზარგარიანი, შეჯიბრების მთავარი მხაქი. ლაგოლები.

რეკლამა: „საბაპი“ გაიმართა „გინთიადის“ ზონალური საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც შექმნა ცხაპიას ზონალური საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია რ. კანკავა. 2. გუგუზაძე. (ჩვენი კორ.).

როგორ ვისწავლოთ თარგმანში



გთავაზობთ თარგმანის ტექნიკის შესწავლის სამავალით გეგმას. ვარჯიშები შერჩეულია იმ ინტენარის გათვალისწინებით, რაც თითქმის ყველა სკოლის სპორტდარბაზშია. პირველი ვარჯიშის შესრულების დროს (ნახ. 1) მოსწავლე დგება პირით ტანგარეშული კედლისკენ, იმ მანძილზე, რომ გამოსული ხელებით სურათზე აღნიშნული დახრილობით მიეგრდნოს მას. საყრდენი ფეხის წვერი თარჯის საზუზეა. ვარჯიში გეგნობს ამკვრელი ფეხის თარჯზე გადატანის ტექნიკას — ამკვრელი ფეხი გადის უკან, ტერფი ბრუნდება წვერით შემსრულებლისკენ (ამის შედეგად მუხლიც ბრუნდება) და ფეხი თარჯზე გადაგვაქვს. აღნიშნულ მდგომარეობაში თავისა და კორპუსის ბრუნე ამკვრელი ფეხის მხარეს დაუშვებელია. მოვარჯიშის მზერა მიმართულია წინ, კორპუსი დახრილია. ნახ. 2. ეს ვარჯიში წყვეტს იმავე ამოცანას, მაგრამ გართულებულ მდგომარეობაში, ვინაიდან ფეხი მოცემული მიმართულებით უნდა გაიმართოს, ეს კი მენჯ-პარაძიყის სახსრებს მოძრაობის გაზრდილი მოთხოვნებს უყენებს. მოცემული ვარჯიში ნორმალურ თარჯზე (რომელიცე მხარის დაუშვებლად) კიდევ უფრო რთულია. მე-3 და მე-3-ა ნახატებზე ნაჩვენებია გამქნევი ფეხით იერიში თარჯზე. იერიშის წინ მოვარჯიშე გამქნევი ფეხს უკან ტოვებს, ხოლო სათარჯო ნაბიჯი მდგოლა აწეული ბარძაყით გააქვს წინ ისე, რომ თანდათან გადაეგლოს თარჯს. თუ ვარჯიში ათვისებულა, შეიძლება შესრულდეს ჯერ ერთი, მერე ორისამი ნაბიჯიდან. გამქნევი ფეხის საწინააღმდეგო ხელი გადის წინ, ფეხის წვერთან და მოსმითი მოძრაობით მიდის განზე დაუყოფნებლიე აკვალთვით. ხელებანი ამგვარი მუშაობა ლიმიტირებულია გრძელი სათარჯო ნაბიჯით, რაც ერთნაბეგარ სარბენ ნაბიჯს უდრის. კორპუსის ნაადრევი დახრა შეცდომა იქნებოდა, ვინაიდან ეს აფერხებს

ავერის დამთავრებას და ამუსრუტებს მენჯის წინ, თარჯზე მოძრაობას. მე-4 ნახატის მიხედვით შევისწავლით თარჯზე გადატანის, თუმცა მოძრაობა ამ დროს თარჯის გვერდიდან წარმოებს და იარაღს მხოლოდ ამკვრელი ფეხი გადაეგლება. ვარჯიში ასე სრულდება: ჯერ გამქნევი ფეხის ერთი ნაბიჯი, შემდეგ სამ ნაბიჯში ხელა და ისევე ერთი ნაბიჯი სწრაფ ტემპში, უსაყრდენო ფეხის დაცვით. მომდევნო ვარჯიში რბენის დროს ტარდება (ბარძაყი მდგოლა აწეული) და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ ვარჯიშს, რომელიც მე-5 ნახატზეა მოცემული. აქ სათარჯო ნაბიჯი განივად ვადის ტიპზე (სარისაზე). იარაღზე საყრდენად სპორტსმენი ხელს იყენებს, რაც ამ ელემენტის შესრულებას აიოლებს. შემდეგში ვარჯიშის ათვისება ხელის დაუხმარებლად გრძელდება. ვიზუალური მასწავლებალით დახასხარებლად

მე-6 ნახატი სამ მდგომარეობაში წარმოადგენს სათარჯო ნაბიჯს. პირველი გვიჩვენებს თარჯმორბენლის მოკეცვას იერიშის შემდეგ. აქ ამკვრელი ფეხი წინასწარ იწყებს მიზიდვას. მეორე მდგომარეობით თარჯიდან გადასვლა ნაჩვენებია. ფეხის დადგმისას ამკვრელი ფეხი პაერშივე უსწრებს გამქნევს, რაც მეტად საჭირო და დამახასიათებელია ამ სახეობისთვის. მესამე მდგომარეობა გვიჩვენებს თარჯზე გადატანის შემდგომ პირველ ნაბიჯს. გარკვევით ჩანს, რომ იგი მაღლა აწეული ბარძაყით სრულდება, რაც საშუალებას გვაძლევს ნაბიჯი ნორმალურს მიუახლოვოთ და ხელს უწყობს სპორტსმენს თარჯებს შორის რბენის დროს მაღალი მდგომარეობა შეინარჩუნოს. ეს უდავოდ წარმოადგენს ვარჯიშის სწორად შესრულების ერთ-ერთ ძირითად პირობას. დაბლოს, მე-7 ნახატი თარჯებს შორის რბენისა და თარჯზე იერიშის

ტექნიკას გეგნობს. აქ ნათლად ჩანს, რომ თარჯზე მიჭრის წინ ბარძაყთან ერთად მენჯი და სხეულის სიმძიმის ცენტრიც არის აწეული (I და IV მდგომარეობა). II და III მდგომარეობა ჩვენ უკვე შეგვხვდა მე-5 ნახატზე. სამწუხაროდ, აქ არაა ნაჩვენები ყველაზე გრძელი მეორე და რამდენიმე შემოკლებული მესამე ნაბიჯები, რაც თარჯზე იერიშის წინ შეყოვნებას გვაძლევს თავიდან. წინა ხელი, როგორც სურათზე ჩანს, თარჯზე გადავლისას განივად მოძრაობს, თარჯებს შორის რბენის დროს კი ნორმალურ რიტმს უბრუნდება. ექსპერიმენტების შეხებით დავადგინეთ თარჯების სიმძლვე სხვადასხვა ასაკისთვის: V-VI-კლასელი ბიჭებისთვის 30-დან 45-სმ-მდე, VII-VIII-კლასელთათვის — 60 სმ-მდე, გოგონებისთვის, ბავშვების სიმაღლესთან შეფარდებით — 45-დან 60 სმ-მდე. მეცხრეკლასელი ბიჭების ვარჯიშები უნდა ჩატარდეს 76.2, ხოლო გოგონებისა — 60-76.2 სმ-ის სიმაღლის თარჯებზე (მათი მომზადების მიხედვით). X და XI-კლასელი ბიჭებისთვის თარჯების სიმაღლე განისაზღვრება 91.4 სმ-ით, გოგონებისთვის — 76.2 სმ-ით. თარჯებს შორის მანძილი კლასიდან კლასამდე იზრდება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მანძილი X-XI კლასების ჭაბუკთათვის 8.50-8.80 მ უნდა იყოს, გოგონებისთვის კი — 7.75-8 მ. ამ სიმაღლისა და დაშორების თარჯთა გამოყენება საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ, რამდენად სწორად აითვისეს მასალა ბავშვებმა. თარჯები შეიძლება დავამზადოთ სკოლაში, შრომის გაკვეთილზე. კარგია, თუ მათ ეწევათ 43-58-76-89 სანტიმეტრის სიმაღლის დგარები, 1-1,25 მეტრის სიგრძისა და 2-2.5 სმ სისქის თამბასა. შემომი რეკომენდებული ვარჯიშების ათვისება მოხდება არა ერთ, არამედ სამ-ოთხ გაკვეთილზე, ნაწილ-ნაწილ, ისე, რომ ხელი არ შეუშალოს პროგრამის დანარჩენი ნაწილის გაგებას. 3. ლაგუზანი, მძლეოსნობის მწვრთნელი.

აქვალის სასრლოეთზე დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ტყვიით სროლაში. თუ შეჯიბრების შედეგებს გავაანალიზებთ, დაგვიწყნდებით, რომ მარჯვენებლები არც ისე სასარბილოა, თუმცა, მხოლოდ სპორტსმენებს ვერ ვსაყვედურებთ, ვინაიდან ნაადრევნი სტარტი და არაბეზელსაყრელი ბუნებრივი პირობები საგრძნობ გავლენას ახდენდა გასროლებზე. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის მონაწილეებმა ზოგიერთ სახეობაში მაღალი შედეგები აჩვენეს.

როგორც ადრე ვიტყვითხებოდით, სპორტის ოსტატმა გ. ბეგუაშვილმა საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა „გაქცეული ირემზე“ სროლაში და საერთაშორისო ოსტატის ნორმას გადააჭარბა. სპორტის ოსტატმა გ. ხალაქიძემ მცირეკალიბრანი პისტოლეტით 50 მეტრზე (60 გასროლა) სროლაში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 560 ქულა, რაც 10 ქულით აღემატება სპორტის ოსტატის ნორმას.

საქართველოს ნაკრები ძირითადად ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. მაგრამ გუნდის ინტერესებს მობაზალ შევიბრუნებთ, რომ სასანგრო და-ნადგარები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მაგალითად, სახილველო და-ნადგარების სიმძიმის გამო არ ხერხდება ვარჯიშების მასობრივად გამართვა მცირეკალიბრანი პისტოლეტით სილუეტზე სროლაში. ამიტომაც იყო, რომ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადში გუნდურ XIII, ხოლო ჩვენი ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონატში XV ადგილს დავერდით ამ ვარჯიშში.

რაც შეეხება პირად ჩათვლას, ჩვენი რესპუბლიკიდან საუკეთესო კ. ფლტინემა სპარტაკიადში 577 ქულა მოაგროვა და 32-ე ადგილი დაიკავა. შარშანდელ ჩემპიონატში უძლიერესი — ს. პინტინი კი 61-ე ადგილზე გავიდა (568 ქულა).
პართალია, ა. შილოვა (თბილისის

„დინამო“) ამ ტურნირში 579 ქულა დააგროვა და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა, მაგრამ ეს შედეგი მაინც ბევრად ჩამორჩება საერთაშორისო კლასს.

რაც შეეხება რესპუბლიკური ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს, საერთო გუნდურ ჩათვლაში „დინამოს“ კომპლექტივი მიუწვდომელი იყო. მათვე დაისაკუთრეს პირველობა ვაჟთა, ქალთა და იუნიორთა ტურნირშიც. საერთო გუნდური II ადგილი წილად ხვდა დინამოს (ვაჟებში — III, ქალებში — II, იუნიორებში — III). არმიელთა სპორტკლუბი III ადგილზე გავიდა.

პირად პირველობაში მცირეკალიბრანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში (30 გასროლა) ჩემპიონობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა გ. კახოსნიძემ (თბილისის „დინამო“). მან 300 შესაძლებელიდან 37 ქულა დააგროვა, მაგრამ 8 ქულით მაინც აჯობა ოსტატობის კანდიდატს ვ. ღვიზიას. III იყო სპორტის ოსტატი ა. ვრონიაკი (თბილისის „დინამო“) — 554.

ვაჟები ამ ვარჯიშში 60 გასროლით ასრულდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩემპიონობა საკმაოდ მაღალი შედეგით დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ვ. ხალაქიძემ (თბილისის ასკ) — 560. სპორტის ოსტატის ნორმას გადააჭარბა აგრეთვე ამ ვარჯიშში II პრიზიორმა, სპორტის ოსტატმა დ. ფილიაშვილმა (თბილისის „დინამო“) — 551. III ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა მ. ქაშურაშვილს (თბილისის დოსაფი) — 544.

არმიული შაშხანით სტანდარტზე (3x20) 300 მეტრზე სროლაში გუნდური პირველობა მოიგეს დოსაფის სპორტსმენებმა — 2.029 ქულა. დინამოელებმა წააგეს 26 ქულა. არმიელთა მხოლოდ 1.976 ქულა მოაგროვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, რვაჯერ აიღეს პირად პირველობაში. ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ა. დანილევი (თბილისის ასკ) — 527 ქულა. II და III ადგილები დინამოელებმა დაისაკუთრეს: თ. მერგულიშვილმა მოაგროვა 516 ქულა, ა. სტროევა — 512.

მცირეკალიბრანი პისტოლეტით სილუეტზე სროლაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს: ა. შილოვა — 579, ვ. ღვიზიასი (თბილისის ასკ) — 573 და ს. პინტინმა („დინამო“) — 571. იუნიორებში გაიმარჯვა მ. ქაშურაშვილმა — 573.

ამ ბოლო წლებში ტყვიით სროლის პროგრამა რამდენადმე შეიცვალა. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში „გაქცეული შველის“ ადგილი „გაქცეულმა ტახტმა“ დაიკავა. ვარჯიშში მხოლოდ ის სხვაობაა, რომ თუ „გაქცეული შველის“ დროს საფარიდან პირველად რქები გამოჩნდებოდა ხოლმე, ახლა ასპარეზზე „სამსხვერპლს“, ანუ ვთქვათ, დინგი გამოდის. ეს შეჯიბრება საქართველოში წლეულს პირველად ჩატარდა. სათანადო სამიზნეები არ გვექონდა და ისინი კუსტარული წესით დაგამზადდნენ, მაგრამ ტურნირმა მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია. ასპარეზობაში კვლავ ისახელა თავი გ. ბეგუაშვილმა. მან 305 ქულა მოაგროვა და მესამედ მოიპოვა ჩემპიონობა. II ადგილი დაიკავა გ. თავდილი-

შვილმა — 291, III — თ. ლევიშვილმა (თბილისის დოსაფი) — 290. ახალ ვარჯიშში გუნდური გამარჯვება დინამოელებმა დაისაკუთრეს — 1.137. დოსაფი 44 ქულით ჩამორჩა, ასკ-მ კი მხოლოდ 1.000 ქულის მოგროვება შეძლო.

ამით დამთავრდა ჩემპიონატი. ჩვენი რესპუბლიკის მსროლელებს წლეულს უნდა საინტერესო ასპარეზობა ევლით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი თანდათან გაზრდიან შედეგებს, წარმატებით მოემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

ა. შაქარაძე,
საქართველოს სპორტკავშირის შთავაზი მწვრთნელი ტყვიით სროლაში.

СРЕЩАТА С ГРУЗИНСКИТЕ БОРЦИ
НОВА ИЗЯВА НА ДРУЖБАТА
И в София 5:3 за грузинските борци
Неочаквано, но заслужено
С ЕДМИЦАТА, която отмина, ни донесе още три приятелски срещи от борбата международна програма. Наши гости са частни майсторски борба от многобройната грузинска делегация. Вървите си две срещи с нас, което е естествено, защото те са състав част от програмата. Още една среща става на го...

კოლიგაიურ ჩეხაიონთა ქვეყანაში
მარცხდა (ი. შავოვთან, ს. მალთოვან და ი. პატრიკოვთან). მიუხედავად უცხოეთის ხალიჩაზე პირველი გამოსვლისა, მას, ცხადია, შეეძლო უკეთესი შედეგების მოპოვება. მაგრამ ყოველი ბრძოლის წინ იგი მეტისმეტად ყოვლად და ვერა და ვერ იქნა მისი დამწველია.
თავის უნარსა და შესაძლებლობაზე უარესად იჭიდავა ს. ქარსაულიძემაც მ. გიორგვიანი, რომელსაც ადრეც შეხვედრია. მან პირველი ბრძოლა ფრედ დამთავრა. ორი დღის შემდეგ ბულგარულმა ხარკოვში უმნიშვნელო უპირატესობით გაიმარჯვა, ხოლო ს. კოლევა სოფიანო ქარსაულიძეს დამაჯერებლად მოუგო.
მსუბუქ წონაში ფაგორიტად ითვლებოდა ზ. ბერიანიშვილი. უნდა ითქვას, რომ ქართველმა ფალაგანმა გაამართლა ბულგარელი მაყურებლების მოლოდინი. მან სამივე შეხვედრა მოიგო: ჯერ ახალგაზრდა ლ. დიმიტროვი დაამარცხა, შემდეგ გამოცდილი ს. ბიმალოვი, და, ბოლოს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი: ვ. ვილჩევი. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ზარიბეგის მეტოქეები მასთან ბრძოლის გამწვავებას გრიდებოდნენ და მეტწილად ყურე დაიყვან ირჩედნენ, ხოლო ზოგჯერ ხალიჩიდან „გაპარგასაც“ კი კადრულბოდნენ. ყოველივე ამის გამო ბულგარულმა გულშემოტყვიერებმა სრულყოფილად ვერ შეაფასეს ბერიანიშვილის საჭიდაო არსენალი. მაგრამ იმითაც აღფრთოვანებული იყვნენ, რაც ნახეს.
გ. სალარაძემ სამივე ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სტილით ჩაატარა: სახრიანად, გაბედულად და. ამავე დროს, ევრონიშურად. ორჯერ მისი „მსხვერპლი“ გახლდათ სიმპათიური და მაღალტექნიკური პ. დემირჯიივი, ერთხელ კი — ტ. ალაჰიოვი.
ა. ცხვირბეგის მრისხანე მეტოქე ჰყავდა საშუალო წონაში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის პ. გარჯიის: სახით, როგორც ჩანს, პირველ ბრძოლაში ჩვენი ათლეტი მეტოქის ტიკულურებაში შეაჯრით. ამიტომაც იგი გაუბედვრდა, როგორც შეთქვილად მოქმედებდა. სამაგიეროდ, მეორე შეხვედრა ცხოვრებებმა ბრწყინვალედ ჩაატარა. დ.

აქედანვე ვივარაუდოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

ბ რ ძ მ ლ ა
35 ა დ გ ი ლ ის თ ვ ის

მსოფლიოსანთავან ვინ დაიკავეს 35 ადგილს თბილისის ნაკრებში? ამ ამოცანას წყვეტდა „დინამოს“ სტადიონზე საქალაქო შერჩევით შეჯიბრებაში მონაწილე 122 სპორტსმენი. მართალია, ზოგიერთებს უკვე განაზღვრული ჰქონდათ ადგილები (ვ. ქუთა-თელაძეს, ი. დამაკოვს, მ. ოყროშიძეს და სხვებს, რომლებიც ზამთრის საკავშირო ტურნირებში ისახელებს თავი), მაგრამ ასპარეზობა მაინც დაბამულად და საინტერესოდ წარიმართა.

პირველად ბრძოლაში ჩაებნენ უროს მტკორცხელი. თბილგაზის ინჟინერმა ო. ართოლაყვამ ყველაზე კარგი შედეგი (55,94) აჩვენა და ქალაქის ნაკრებში ჩაირიცხა. სპორტის ოსტატმა რ. ტულუში საკავშირო სპორტულ წარმატების მიუხედავად, აქაც ასპარეზობდა. ქალთა შორის ბადურის ტურცხანამ ლენინგრადში მოპოვებულ შედეგს (48,61) აძვრდა მან 14 სანტიმეტრით წაუმატა და პირველობაც მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო ბირთვან კირაშიც — 129,9.

სიმაღლეზე ხტომაში 2 მეტრი გადალახა ნ. აბაბიანიშა, რის ბერე მან სამჯერ შეუტია 203 სანტიმეტრი, მაგრამ სამჯერვე გაისმა მსაჯის, რომის ოლიმპიური ჩემპიონის რ. შავლაყაძის „არა“.

დინამოელმა გ. გულაშვილმა გაიმარჯვა ბადურის ტყვიის წინააღმდეგ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მოთხვეუკსელმა ს. სიდეღანიკოვმა მოიგო 110 და 200 მეტრზე თარჯნბენი — 15,6 და 26,7, დინამოელმა ა. ანტონოვმა — 100 და 200 მეტრზე რბენა — 10,9 და 22,9. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ლ. გუმეაშვილი ეულად ასპარეზობდა ქოკით ხტომაში და მაინც დასძლია 4 მ. შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ქალაქის ნაკრებში შესული მძლეოსნები დამაკაყოფილებლად მომზადებულან რესპუბლიკის საქალაქთაშორისო მატჩისთვის, მაგრამ ცალკეულ სხეულებში მათ ძნელი ბრძოლები ედით სხვების, ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლებთან. სხვა სხეულებში გამარჯვებულია მარჩენბელოვი ასეთია: ძალში: 400 მ — დ. აფსიკური (123-ე სკოლა) —

- 1.09,1, 800 მ — ა. კაშპულივა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 2.43,6, 80 მ თარჯნბენი — 5. გაბესაძე — 12,1, სივრძე — ზ. სანგვევა (ორივენი — თსუ) — 536, შუბი — ც. ლიპარტელიანი (გლდანის ინსტიტუტი) — 40,60. შაშხინი: 400 მ — ა. პრიზინი — 50,6, 800 მ — ი. ზეინან-ოღლი (ორივენი — ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 1.59,9, 1000 მ — ი. ლოგუნიოვი (თსუ) — 2.31,3, 1500 მ — 5. დავიდევო (ასკ) — 4.04,4, 5000 მ — ა. პოპოვი — 15.04,4, სივრძე — რ. ჩუბინიძე (ასკ) — 712, სამხტომი — ლ. დარახველიძე („სპარტაკი“) — 15,13, შუბი — ბ. მეგლაძე („დინამო“) — 65,12, ბირთვი — ვ. მისტურაძე (თსუ) — 15,38, 10 კმ სპორტული სიარული — ი. დელა-როსა („კონიადი“) — 48,47,0.

ასპარეზობა (მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი მ. ტულუში) კარგად იყო ორგანიზებული, რამაც ხელი შეუწყო სპორტსმენთა მაღალი შედეგების ჩვენებას.

3. ზაუკინი, I კატეგორიის მსაჯი.



ს უ რ ა თ ე: სამხტომში გამარჯვებული ლ. დარახველიძე ასპარეზობდა.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

